შიდა ქართლი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11 (10.820)
31 მარტი-7 აპრილი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი

გვ.2



გვ.3

საქართველოს ახალი კონსტიტუცია აქვს

1 წელი ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან – საქართველოს მთავრობის ახალი გამოწვევები

გვ.2

საკრებულოს სხდომაზე

გვ.3

ნაგვის ახალი კონტეინერები – ქალაქს

გვ.2

როგორ ვხვდებით ზაფხულს წყალმომარაგების თვალსაზრისით?!

გვ.5

გვ.5

„კახეთში აეროპორტის აშენება თელავსა და წნორს შორის განიხილება“

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში „ლურჯი ვეშაპის“ შესახებ შეხვედრა გაიმართა

გვ.7

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ჩაატარა რეფერენდუმი – საერთო-სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე.

რეფერენდუმი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე. ამ დადგენილებით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე და 1991 წლის 31 მარტს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კითხვით **„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“**

რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს მთელი საქართველოს მასშტაბით. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 ადამიანს (ამომრჩეველთა 90,3 პროცენტი). მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგად, იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

საქართველო რუსეთის რეაქციის მოლოდინში

რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, საქართველოდან რუსი დიპლომატის გაწვევასთან დაკავშირებით მოსკოვის რეაქციას ელოდება.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის ინტერესების სექციიდან რუსი დიპლომატის გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო. ამით საქართველომ სოლიდარობა გამოხატა დიდი ბრიტანეთისა და რიგი დასავლეთის ქვეყნების მიმართ, რომლებიც რუს დიპლომატებს საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მასობრივად აძევებენ.

„ვნახოთ, შევხედოთ როგორ იქნება. დრო დასჭირდება იმას, რათა დავინახოთ რუსეთის მხარის რეაქცია როგორი იქნება. ექსპერტებს სჯობს კითხოთ, მათ მეტი იციან", – განაცხადა აბაშიძემ.

ამასთან, აბაშიძეს არ დაუზუსტებია თუ როგორ აისახება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება ქვეყნიდან რუსი დიპლომატის გაწვევის შესახებ მის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის რეგულარულ შეხვედრებზე. პრაღაში გამართულ შეხვედრაზე მხარეები ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხებს იხილავენ.

„ჯერჯერობით არ გვაქვს დაგეგმილი ჩვენი შეხვედრები. ისინი სხვა თემებს ეხება, როგორც იცით, უფრო კონკრეტულ საკითხებზე ვსაუბრობთ", – აღნიშნა აბაშიძემ.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები თბილისმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების საპასუხოდ გაწყვიტა. 2009 წლიდან შვეიცარია ასრულებს ქვეყნებს შორის შუამავლის როლს. თბილისში შვეიცარიის საელჩოსთან რუსეთის ინტერესების სექცია მუშაობს. ანალოგიური სექცია, საქართველოს ინტერესების დამცველი, გახსნილია მოსკოვში.

რუსეთმა არაერთხელ გამოხატა აღშფოთება რიგი დასავლეთის ქვეყნების ქმედებებზე, რომლებმაც რუსი დიპლომატების ქვეყნიდან გაწვევის გადაწყვეტილება რუსეთის უსაფრთხოების სამმართველოს (ГРУ) ყოფილი ოფიცრის, სერგეი სკრიპალის მონამვლასთან დაკავშირებით მიიღო.

ეს ნაბიჯი პირველად დიდმა ბრიტანეთმა გადადგა, რომელმაც "სკრიპალის საქმესთან" დაკავშირებით ქვეყნიდან 23 დიპლომატი გაიწვია. მარტის ბოლოს აშშ-მ, 14-მა ევროპულმა ქვეყანამ და უკრაინამ მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილებას და ანალოგიური ზომები მიიღეს.

სკრიპალი, რომელიც ბრიტანულ დაზვერვაზე მუშაობდა და მისი ქალიშვილი იულია 4 მარტს ბრიტანულ ქალაქ სოლსბერში უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

ლონდონის მტკიცებით, რუსული წარმოების ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით (A234) მამა-შვილის მოწამვლასთან კავშირში რუსეთის სახელმწიფოა. მომხდარის შემდეგ, ბრიტანეთმა 23 რუსი დიპლომატი გაიწვია და რუსეთთან კონტაქტები მაღალ დონეზე გაყინა. მოსკოვმა ამის საპასუხოდ პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის საელჩოს 23 თანამშრომელი, უკან გაიწვია სანქტ-პეტერბურგში საკონსულოს გახსნის გადაწყვეტილება და ასევე შეწყვიტა ბრიტანეთის საბჭოს მუშაობა.

ბრიტანეთი ასევე ცდილობს რუსეთზე ზეწოლა სხვა ქვეყნების დახმარებით მოახდინოს, მოუწოდებს რა მათ მოსკოვის წინააღმდეგ ზომების გატარებისკენ. ასეთი გადაწყვეტილება ევროკავშირის სახელმწიფოების ლიდერებმა ბრიუსელის მოლაპარაკებების შედეგად მიიღეს.

კვირიკაშვილი - ვინც ყვავ-ყორნებივით დასტრიალებენ მთავრობის ადმინისტრაციას და დაყენებული აქვთ ტაიმერები ჩემს გადადგომაზე, მინდა დავარწმუნო, რომ ეს ტაიმერი რამდენიმე წელი არ დარეკავს

მინდა ის ადამიანები დავარწმუნო, ვინც ყვავ-ყორნებივით დასტრიალებენ მთავრობის ადმინისტრაციის მეთერთმეტე სართულს და პრემიერ კვირიკაშვილის გადადგომაზე ტაიმერი აქვთ დაყენებული - ეს ტაიმერი მინიმუმ რამდენიმე წელი არ დარეკავს, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ახალი მინისტრი წარადგინა. პრემიერი მისი გადადგომის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ის გადადგომას არ აპირებს.

„ძალიან მოსაწყენი რომ არ იყოს მთავრობის ადმინისტრაციაში ბრიფინგები, მინდა ორიოდე სიტყვით ვთქვა, იმ ადამიანების საყურადღებოდ, რომლებიც ყვავ-ყორნებივით დასტრიალებენ მთავრობის ადმინისტრაციის მეთერთმეტე სართულს და დაყენებული აქვთ ტაიმერები პრემიერ კვირიკაშვილის გადადგომაზე. მინდა ისინი დავარწმუნო, რომ ეს ტაიმერი მინიმუმ რამდენიმე წელი არ დარეკავს. ამიტომ დაისვენონ. მე მათი საცოდაობით აღარ ვარ, გამოიძინონ კარგად, სანამ საქართველო წინ წავა", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საკადრო ცვლილება მთავრობაში

საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილება განხორციელდა, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე მაია ცქიტიშვილმა შეცვალა. კვირიკაშვილმა ცქიტიშვილს ახალ თანამდებობაზე წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ სივრცითი განვითარების მიმართულებით, ჩვენ კიდევ ვნახავთ ძალიან დიდ წარმატებებს.

„მინდა, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე წარმოგიდგინოთ მაია ცქიტიშვილის კანდიდატურა. მაია გახლდათ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი 2012 წლიდან დღემდე, ძალიან წარმატებული უფროსი. ჩემთვის არ არის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება, რადგან ვფიქრობ, რთული იქნება ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც ასეთივე წარმატებით გაუძღვება იმ მოცულობის საქმეს, რომელსაც მთავრობის ადმინისტრაციაში მაია ძალიან წარმატებით უძღვებოდა. მაგრამ, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მე მიწევს ამ გადაწყვეტილების მიღება. დარწმუნებული ვარ, მაია იქნება ძალიან კარგი მინისტრი. დარწმუნებული ვარ, რომ სივრცითი განვითარების მიმართულებით, ჩვენ კიდევ ვნახავთ ძალიან დიდ წარმატებებს. მე მინდა მაიას წარმატება ვუსურვო, ამ ახალ თანამდებობაზე და დარწმუნებული ვარ მის წარმატებაში", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ფრაქცია ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვაზე ცვლილებებს მოამზადებს

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის" არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვაზე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაზე მუშაობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საპარლამენტო ფრაქციიდან აცნობეს.

ფრაქციის თავმჯდომარის ბიძინა გეგიძის გადაწყვეტილებით, ცვლილებების მომზადების პროცესში თავად არასრულწლოვნები ჩაერთვებიან.

„მომავალი თაობის ინტერესების დაცვა პრიორიტეტულია ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში და, ამ მხრივ, გამონაკლისს არც ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს. დღეისთვის არსებულ კანონმდებლობაში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი რეგულირების მიღმაა დარჩენილი, რის გამოსწორებაც აუცილებელია არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად. ჩვენ ვგეგმავთ, შევქმნათ მყარი საკანონმდებლო გარანტიები როგორც მათთვის, ასევე მათი მშობლებისთვის, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ინფორმაციის უკანონო დამუშავების რისკი. ამასთან ერთად, საკანონმდებლო ცვლილებები ვერ იქნება სრულყოფილი და არ მოგვცემს სასურველ შედეგებს, თუ არ მოვუსმენთ მათ, ვისაც ის ეხება - ბავშვებს!" - განაცხადა ბიძინა გეგიძემ.

ფრაქცია ასევე გეგმავს აქტიური შეხვედრების გამართვას სამთავრობო სექტორთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რათა პრობლემის მოგვარება მოხდეს კომპლექსურად, ყველა უწყების მოსაზრებებისა და ხედვების გათვალისწინებით.

1 წელი ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან - საქართველოს მთავრობის ახალი გამოწვევები

ერთი წლის განმავლობაში შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმით, დაახლოებით, საქართველოს 220 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა

ვიზალიბერალიზაცია არ არის მხოლოდ უვიზო მგზავრობის უფლება, ის ევროკავშირის მხრიდან უდიდესი ნდობის გამოხატულებაა, განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე.

ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი 2017 წლის 28 მარტიდან ამოქმედდა. საუბარია შენგენის ზონის ქვეყნებში მოკლევადიან (180 დღის მანძილზე საერთო ჯამში 90 დღით) ტურისტულ, საქმიან და სტუმრის სტატუსით ვიზიტებზე. უვიზო რეჟიმით უკვე, დაახლოებით, საქართველოს 220 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა.

„28 მარტს 1 წელი სრულდება ვიზალიბერალიზაციის მიღებიდან. ეს არის ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევა. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგი, მაგრამ ამავე დროს ჩვენი მოსახლეობის ევროპული არჩევანის შედეგი",- განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერის განმარტებით, იმისათვის, რათა ქვეყანამ ევროკავშირის ქვეყნებთან შეინარჩუნოს უვიზო რეჟიმი და მაქსიმალურად აიცილოს თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდა, საქართველოს ხელისუფლება ყველა საჭირო ნაბიჯს დგამს.

„ჩვენ შევძლებთ, რა თქმა უნდა, ამ უდიდესი სიკეთის შენარჩუნებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოქალაქე გაუფრთხილდეს ამ ძალიან დიდ მონაპოვარს, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ",- აღნიშნა კვირიკაშვილმა.

2017 წელს, შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი პროგრესულად, 35%-ით გაიზარდა, რაც ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის უკმაყოფილების მიზეზი გახდა. 2018 წლის იანვარში ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფარი საქართველოს მხოლოდ 13-მა მოქალაქემ მიიღო, 1288-ს კი უარი ეთქვა. ბოლო მონაცემებით, განხილვის სტადიაშია კიდევ 5407 საქართველოს მოქალაქის განცხადება. ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი ქართველებისთვის ყველაზე სასურველ ქვეყნებს შორის შვედეთი და ისლანდია დასახელდა.

საქართველოს ხელისუფლებამ უვიზო რეჟიმის მოთხოვნების დამრღვევთა მიმართა კანონმდებლობის გამკაცრების გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ინიციატივის თანახმად, ადამიანის რეადმისიასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თვითონ მას დაეკისრება.

გარდა ამისა, იგეგმება გვარის შეცვლის პროცედურების გამკაცრება, რადგან საქართველოს ზოგიერთი მოქალაქე, რომლებსაც თავშესაფარზე უარს ეუბნებიან, ბრუნდება სამშობლოში, ნათესავების გვარზე გადადის და ისევ ევროკავშირის ქვეყნებში მიემგზავრება.

ნაგვის ახალი კონტეინერები - ქალაქს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია დედოფლისწყაროს სისუფთავეზე ზრუნვას აგრძელებს. ქალაქ დედოფლისწყაროში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე პლასტმასის კონტეინერები დაიდგა . 40 ერთეული სანაგვე ურნა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე უკვე განთავსდა, არსებული ურნებით კი ძველი, ღია ტიპის კონტეინერები ჩანაცვლდება.

საკრებულოს სხდომაზე

27 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი განიხილეს.

საკრებულომ, ხმათა უმრავლესობით, მხარი დაუჭირა გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას, რომლის მიზანიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობაა.

დღესვე საკრებულომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 30- ე მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ საქართველოს კანონის“ საფუძველზე დაამტკიცა მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობის) დოკუმენტების ტიპიური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.

საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე მოისმინეს და განიხილეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის შესახებ აუდიტის № 7/36 ანგარიში.

საკრებულოს უმრავლესობისა და უმცირესობის წევრებმა წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. დებატების შემდეგ საკრებულომ მიიღო განკარგულება, რომელშიც ფინანსური აუდიტის რეკომენდაციებია გათვალისწინებული.

გიორგი კვირიკაშვილი - დღეიდან ქვეყანას აქვს სრულყოფილი კონსტიტუცია, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურობასა და პლურალიზმს, ხოლო მეორე მხრივ, გამორიცხავს ავტოკრატიას

დღეიდან ქვეყანას აქვს სრულყოფილი კონსტიტუცია, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურობასა და პლურალიზმს, ხოლო მეორე მხრივ, გამორიცხავს ჭარბი ძალაუფლების კონცენტრაციას ერთი კონკრეტული ჯგუფის ხელში, შესაბამისად, გამორიცხავს ავტოკრატიას, - ასე ეხმაურება პარლამენტის მიერ მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებები უზრუნველყოფს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.

”დღეს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის საბოლოო რედაქცია მიიღო. დღეიდან ქვეყანას აქვს სრულყოფილი კონსტიტუცია, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურობასა და პლურალიზმს, ხოლო მეორე მხრივ, გამორიცხავს ჭარბი ძალაუფლების კონცენტრაციას ერთი კონკრეტული ჯგუფის ხელში, შესაბამისად, გამორიცხავს ავტოკრატიას. ჩვენ მივიღეთ კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ პროცესის წარმატებით დასრულებაში - საკონსტიტუციო კომისიას, პირადად პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს, ექსპერტებს, საზოგადოებას, ჩვენს ხალხს, ყველას, ვინც მონაწილეობდა საყოველთაო განხილვებში. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ვენეციის კომისიას, პირადად ბატონ ჯანი ბუკიკიოს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მთელ ამ პროცესში და ძალიან დადებითი შეფასება მისცა საკონსტიტუციო ცვლილებებს”, - აცხადებს პრემიერი.

მისივე თქმით, კონსტიტუციიდან ამოღებულია მუხლი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას არაპროპორციულად დიდ ძალაუფლებას ანიჭებდა და პარლამენტს არ ჰქონდა რეალური ბერკეტი, არ მიეღო პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული კანონპროექტი.

”ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა კონსტიტუციის გაჯანსაღებაზე. 2013 წელს უკვე გადავდგით ნაბიჯები საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებისა და პარლამენტის როლის გაზრდის მიმართულებით. კონსტიტუციიდან ამოღებულია მუხლი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას არაპროპორციულად დიდ ძალაუფლებას ანიჭებდა და პარლამენტს არ ჰქონდა რეალური ბერკეტი, არ მიეღო პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული კანონპროექტი. ეს ტენდენცია გაგრძელდა კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესშიც. ჩვენ, მმართველი გუნდი და აღმასრულებელი ხელისუფლება, წავედით ძალაუფლების მაქსიმალური თვითშეზღუდვის გზით”, - აღნიშნავს კვირიკაშვილი.

მისივე შეფასებით, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში არ ჩაწერილა არც ერთი ისეთი პუნქტი, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალის პარტიულ ინტერესებსა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

”სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში არ ჩაწერილა არც ერთი ისეთი პუნქტი, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალის პარტიულ ინტერესებსა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. ჩვენ მიზნად დავისახეთ ქვეყანას ჰქონოდა დაბალანსებული კონსტიტუცია და გადავსულიყავით სრულფასოვანი საპარლამენტო მმართველობის მოდელზე. მოგეხსენებათ, ახალ რედაქციაზე მუშაობისას მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო საყოველთაო-სახალხო განხილვა. საკონსტიტუციო კომისიაში მოწვეული გვყავდა ექსპერტები, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. კომისიამ გაითვალისწინა ოპოზიციისა და ექსპერტების რეკომენდაციების 80%-მდე, რაც ასევე უპრეცედენტოა ქვეყნის ისტორიაში. საკონსტიტუციო ცვლილებებით ჩვენ უარი ვუთხარით წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკას - კონსტიტუცია ვიწროპარტიულ ინტერესებსა და კონკრეტულ პერსონებზე მოგვერგო”, - განაცხადა პრემიერმა.



მისივე თქმით, დღეიდან ქვეყანას აქვს კონსტიტუცია, რომლითაც დაბალანსებული და გადანაწილებულია პასუხისმგებლობა ხელისუფლების შტოებს შორის, პარლამენტს აქვს ბუნებრივი როლი და წონა; გამარტივებულია პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურები, მთავრობა ხდება უფრო ეფექტიანი და ანგარიშვალდებული, პრეზიდენტს აქვს ნეიტრალური არბიტრის ფუნქციები; გარდამავალ დებულებებში ასახულია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური არჩევანი; იზრდება ადამიანის, საზოგადოების დაცულობის ხარისხი, იზრდება საპარლამენტო ოპოზიციის უფლებები, შესაძლებელი ხდება საპარლამენტო ოპოზიციის მიერ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა; იზრდება სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა; იზრდება შრომითი უფლებების დაცულობის ხარისხი; მყარდება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიები.

”ამას გარდა, გათვალისწინებულია ჩვენი საზოგადოების მოთხოვნა ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით და ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის მოთხოვნა მიწის გასხვისების შეზღუდვებთან დაკავშირებით. ყველა ეს ნაბიჯი, პირველ რიგში, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის და ამავე დროს, პოლიტიკური კონსენსუსისთვის გადაიდგა. სწორედ ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნების საფუძველზე აისახა დოკუმენტში ის, რომ 2024 წლიდან ქვეყანა მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადადის. ჩვენ, კონსტიტუციის განხილვების პროცესში არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გუნდის შიგნით არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდება, ბარიერი დაიწევს 5-დან 3 პროცენტამდე. ამავე დროს, ერთჯერადად შენარჩუნდება საარჩევნოდ ბლოკების შექმნის შესაძლებლობა. მოგეხსენებათ, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ყოველთვის იყო, თუმცა რეალური და ქმედითი ნაბიჯები მხოლოდ ჩვენმა ხელისუფლებამ გადადგა. ასევე, ბოლო ცვლილებებით გაუქმებულია ბონუსების სისტემა, რაც ნიშნავს, რომ გადაუნაწილებელი მანდატები პროპორციულად გადანაწილდება იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების შესაბამისად, რომლებიც ბარიერს გადალახავენ. ეს ცვლილებები გამორიცხავს ოპონენტების მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებულ სპეკულაციებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოება სათანადოდ აფასებს იმ პროგრესს, რომელსაც მიაღწია ქვეყანამ დაბალანსებული კონსტიტუციის მიღებით. ეს უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, წინსვლის წინაპირობა და გარანტი”, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

პარლამენტმა ახალი რედაქციის კონსტიტუციაში ცვლილებები 115 ხმით, მესამე მოსმენით დაამტკიცა. ცვლილებები გასული წლის სექტემბერში მიღებული კონსტიტუციის პროექტში აისახება, რომელიც ძალაში მიმდინარე წლის ოქტომბერში - ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ შედის.

ახალმიღებული კონსტიტუციის კორექტირება რამდენიმე შინაარსობრივი ცვლილების განსახორციელებლად, მათ შორის ე.წ. ბონუსის სისტემის გაუქმებისა და 2020 წლის არჩევნებში, ერთჯერადად, საარჩევნო ბლოკების დაშვების მიზნით გადაწყდა.

ამასთან, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება იმგვარად მოხდა, რომ პარლამენტს განსახილველად ახალი რედაქციის კონსტიტუცია მთლიანად - პრეამბულიდან დაწყებული გარდამავალი დებულებების ჩათვლით წარედგინა და ახალი კონსტიტუციის 78-ვე მუხლის ხელახალი განხილვა, გადახედვა მოხდა. ამ პროცესში კი, მთელ რიგ მუხლებში განხორციელდა როგორც შინაარსობრივი, ასევე რედაქციული, ტერმინოლოგიური და ტექნიკური სახის ცვლილებები. მათ შორის ცვლილებები შევიდა კონსტიტუციის მე-18 მუხლში, რომელიც საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას ეხება.

კონსტიტუციური კანონის პროექტი შემდეგ ძირითად ცვლილებებს ითვალისწინებს: კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან ე.წ. ბონუსის სისტემის ამოღება ხდება. ახალი ვერსიის თანახმად, გაუნაწილებელ საპარლამენტო მანდატებს თანმიმდევრობით უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები მიიღებენ.

მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა, პოლიტიკური პარტიების გარდა, საარჩევნო ბლოკებსაც ექნებათ.

გარდა ამისა, ფართოვდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები საარჩევნო ნორმებისა და არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამი თვით იზრდება შესაბამისი სარჩელის განხილვის ვადები. ასევე, უქმდება ჩანაწერი, რომლის თანახმად, არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო სიითი შემადგენლობის სრული თანხმობით წყვეტს.

ახალმიღებულ კონსტიტუციაში ტერმინი ”ხმოსანი” აღარ იარსებებს. ”ხმოსანი“ ტერმინით - ”საარჩევნო კოლეგიის წევრი“ იცვლება.

იქნებ არ დარჩეს „ხმად მღარადებლისა“...

რედაქციაში შემოდის მოქალაქეთა წერილები, რომლებიც, ძირითადად, აყენებენ საკითხებს, რომელიც პრობლემურია მათთვის და არა მხოლოდ მათთვის, მთელი საზოგადოებისათვის. ამჯერად ქ.დედოფლისწყაროში მცხოვრები ქალბატონი **ციცინო ფიროსმანაშვილი გვეწვია რედაქციაში** და თავისი გულისტკივილი გაგვიზიარა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაამცირა და შეურაცხყო სამარშუტო რეისი „წნორი-დედოფლისწყაროს“ მძღოლმა. ქვემოთ გთავაზობთ მის წერილს:

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, ზოგს ხშირად, ზოგსაც იშვიათად, მაგრამ მაინც გვიწვევს გადაადგილება ჭირსა თუ ლხინში, როგორც მეზობელი მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისე ჩვენს სოფლებში. ხშირად მგზავრობა გვიწევს წნორელი მძღოლების საკუთარი ავტოტრანსპორტით. წნორელი მძღოლები მგზავრობის ფასს როცა მოეპრიანებათ, მაშინ ზრდიან. დედოფლისწყაროს ავტოსადგურში არ არის გამოკრული თვალსაჩინოება, თუ რა ღირს ამა თუ იმ სოფლამდე მგზავრობა. წნორელი მძღოლები ფლობენ ყველა რეისს, 10,11,12, 13-30 და 16 საათებში. ამ მძღოლებს, ალბათ, ხელშეკრულება აქვთ დადებული ავტოსადგურში განთავსებულ შპსს-თან, რადგან მათ თავიანთი სადგომი აქვთ განკუთვნილი. თუ ხელშეკრულება აქვთ დადებული, რატომ ზრდიან ასე ხშირად მგზავრობის საფასურს? ჯერ იყო 50 თეთრი, მერე – 70, ახლა კი 1 ლარი გაუხდიათ.

ამ დღეებში წასვლა მომიხდა სოფელ გამარჯვებაში, ვიცოდი, რომ 70 თეთრი ღირდა. ჩასვლისას მძღოლს მივაწოდე 70 თეთრი, დახედა და მეუბნება, - რომელ საუკუნეში ცხოვრობ, ქალო, არ იცი, რომ 1 ლარი ღირსო? ჯერ ერთი, არ ვიცოდი და მეორეც, წნორიდან ტიბანაამდე თითქმის იგივე მანძილია, რაც დედოფლისწყაროდან გამარჯვებამდე, ტიბაანელებს 50 თეთრს ართმევთ და მე კიდევ 1 ლარს მთხოვთ-მეთქი?! ამის თქმა იყო და სახეში შემომაყარა 70 თეთრი. ასეთი თავხედი მძღოლები არ უნდა მუშაობდნენ. წნორელ მძღოლებს ეტყობა ნება დართული აქვთ, რომ ჩვენ გაგვძარცვონ და სიღნაღელებს რაც ღირს, ის გადაახდევინონ.

მგზავრობის ფასი კი არ უნდა იზრდებოდეს, უნდა მცირდებოდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოკირწყლულ გზებზე დასრიალებენ, მანქანა არ იმტვრევა, საბურავები ნაკლებად ცვდება, მგზავრობის დრო მცირდება და ამით საწვავის ხარჯიც მცირდება და განა შეიძლება, ასეთ ვითარებაში მგზავრობის საფასურის გაზრდა?! ხალხი მშიერია, ხალხი დეპრესიაშია. პენსიონერებს კიდევ როგორღაც გაგვაქვს თავი, იმან რა ქნას, ვისაც არც სამუშაო აქვს, არც პენსია და არც სოციალური დახმარება?!

ყოველ სოფელს ჰყავს თავისი არჩეული გამგებელი, არჩეული დეპუტატი, რომელთაც ხელფასიც მაღალი აქვთ და კიდევ გაუზარდეს, ნუთუ არ შეიძლება, დააყენონ საკითხი იმის შესახებ, რომ ცხოვრება შეუმსუბუქონ თანასოფლელებს, წნორელები კი არ უნდა გვმართავდნენ, დედოფლისწყაროელები უნდა მუშაობდნენ.

ნუთუ არ შეიძლება მუნიციპალიტეტმა შეიძინოს 1-2 სამგზავრო „მარშუტკა“ მუნიციპალიტეტის შიდა სოფლებისათვის? თუ თვითმმართველობაა და ინფრასტრუქტურისთვის მილიონები იხარჯება, ხომ შეიძლება 1-2 სამგზავრო მარშუტკისათვისაც გაიღოს თანხა? ჩვენ ხომ ჩიხურ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ და სატრანზიტო ტრანსპორტი აქ არ არსებობს.“ (სტილი დაცულია.)

წერილში აღნიშნულ საკითხებზე კომენტარისათვის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სააქციო საზოგადოება „ ტრანსპორტელის“ დირექტორს კარდინალ ბაღაშვილს ვესტუმრეთ. იმის მიხედვით, თუ რომელ საათზე იმგზავრა ქალბატონმა, „მარშუტკის“ ფერის და მძღოლის ზოგადი აღწერილობით დირექტორს არ გასჭირვებია, დაეზუსტებინა მძღოლის ვინაობა. გაირკვა, რომ ეს რეისი ეკუთვნის წნორის სატრანსპორტო სამსახურს და, შესაბამისად, ადმინისტრაციული ღონისძიების გატარების იურიდიული უფლება მას არ აქვს, თუმცა, კონკრეტულად ის მძღოლი, რომელიც ასე უხეშად მოექცა მოქალაქეს, დირექტორისაგან სათანადო პასუხს მიიღებს.

- მე აუცილებლად დაველაპარაკები მძღოლს, მივცემ შენიშვნას და გავაფრთხილებ, აღარ განმეორდეს მსგავსი შემთხვევა. ამასთან, დავუკავშირდები ჩემს კოლეგას წნორში და მასაც ჩავაყენებ საქმის კურსში. ჩვენ მოგვდის ხმები უკმაყოფილო მგზავრების მხრიდან, ამიტომ, კიდევ ერთხელ გავაფრთხილებ ჩვენს მძღოლებსაც, დაიცვან მოქალაქეთა უფლებები. რაც შეეხება მგზავრობის საფასურის ტარიფს, ის ბრძანებით არის გამყარებული და დარბაზშია გამოკრული. დედოფლისწყაროდან გამარჯვებამდე მგზავრობა ნამდვილად 70 თეთრითაა განსაზღვრული და მძღოლს 1 ლარის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ამ საკითხის ყველაზე ცივილური დარეგულირების გზა კი ბილეთის შეძენაა. მოქალაქეები გადაეჩვივნენ მგზავრობის ბილეთის აღებას. ჩვენ გვყავს მოლარეები მაგრამ, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ადამიანები ასე ქაოტურად მგზავრობას არჩევენ, – ამბობს ბატონი კარდინალი.

მძღოლებთან ურთიერთობის საკითხი პირველად არ დგება. უმრავლესობა ჩვენგანს გამოგვიცდია, როგორ ქედმაღლობენ, უხეშობენ, თითქოს სამადლოს ხდიან თავიანთ მომსახურებას, ფასებს როგორც უნდა, ისე სცვლიან. აქ მარტო ფასზე როდია საუბარი, არამედ იმ შეურაცყოფაზე, რომელსაც ადამიანი იღებს დაუმსახურებლად. ასეა ქალბატონო ციცოც: „მართალია, 30 თეთრიც ფულია, მაგრამ ის სირცხვილია ჩემთვის დაუვიწყარი, რომელიც იმდენი მგზავრის წინაშე დაუმსახურებელი დამცირებით მივიღეო,- ამბობს ის და სრულიად ვეთანხმებით. თუმცა, ეს ყველაზე არ ითქმის, მათ შორის, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი, ზრდილი და პასუხისმგებლიანი მძღოლებიც არიან და ისინი მადლობას იმსახურებენ. ჩვენ კი გვინდა, ყველა მათგანი, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ სატრანსპორტო სამსახურს ეკუთვნის- დედოფლისწყაროს, წნორს, თბილისს თუ თელავს, პატივს სცემდეს მოქალაქეებს, ემსახურებოდეს კვალიფიციურად და ეს ჩვენი მოწოდებაც არ დარჩეს „ხმად მღარადებლისა უდაბნოსა შინა“.

რაც შეეხება წერილში დასმულ წინადადებას მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით, **დედოფლისწყაროს მუციპალიტეტის მერი** ნიკოლოზ ჯანიაშვილი **გვპასუხობს:**

- მინდა გითხრათ, რომ „ტრანსპორტელი“ დამოუკიდებელი სააქციო საზოგადოებაა და მას არავითარი ბმა არ აქვს რაიონის ბიუჯეტთან, მაგრამ თუ გამოვალთ იმ კეთილი ნებიდან, რასაც საკუთარ ხალხზე ზრუნვა ჰქვია, აქ აუცილებლად დაგვჭირდება, ანალიზი გავუკეთოთ იმას, თუ როგორ განვითარდება შემდგომში ამ მიკროავტობუსების ექსპლოატაცია და რა შედეგებს მოიტანს ის. მოგეხსენებათ, ყოველდღიურად თითქმის ყოველ საათში სისტემატური მარშუტები ხორციელდება დედოფლისწყაროდან და მისი სოფლებიდან თბილისის, რუსთავის და წნორის მიმართულებით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ რეისებით სარგებლობს, რადგან ისინი დღის ნებისმიერ დროს მოძრაობენ. თუ ჩვენ ორ მიკროავტობუსს დავნიშნავთ ჩვენს ორ ზონაში, ისინი კონკრეტულად დანიშნულ საათზე მხოლოდ ერთ ან ორ რეისს შეასრულებენ. ამ განსაზღვრული საათისათვის კი მგზავრთა ის რაოდენობა ვერ მოიყრის თავს, რომ მიკროავტობუსებმა ამ შემოსავლით თავისი ხარჯებიც (ამორტიზაციის, რემონტის, მძღოლის და კიდევ სხვა) ამოიღოს და, მით უმეტეს, მოგებაც დაუტოვოს სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელს“, რომელსაც, ისედაც მწირი შემოსავლები აქვს და დამატებით ტრანსპორტის შენახვა გაუჭირდება. თუ დავითვლით შემოსავალს და ხარჯებს, გამოვა, რომ შემოსავალი მგზავრობის საფასურის ხარჯზე უნდა გაიზარდოს და მაშინ, გაძვირებული ტარიფით მგზავრობა, მით უმეტეს, არავის მოუნდება. მაგალითისათვის. ახლა გამარჯვებამდე მგზავრობა 70 თეთრი სწორედ იმიტომ ღირს, რომ ის გავლითი მარშუტია გნებავთ თბილისის, გნებავთ წნორის, მომართულებით. ანალოგიურია ქედების ზონის მდგომარეობაც: - სამთაწყაროდან ან სამთაწყაროში თბილისიდან მიმავალი მიკროავტობუსი მთელ ზონას გაივლის და 3-4 სოფელს შეუძლია მისით ისარგებლოს. ზემოქედელი მგზავრი არ დაელოდება, დღეში ერთხელ როდის ჩაივლის ან ამოივლის საბათლოში მიმავალი ზონის სპეცრეისი, რომელიც, ზემოთაც განვმარტე, შეიძლება უფრო ძვირი სიამოვნება იყოს, ვიდრე გავლით მოძრავი სამთაწყაროს, ან ქვემო ქედის მიკროავტობუსი. აქედან გამომდინარე, მარკეტინგული თვალსაზრისით, მარტო მიკროავტობუსის შეძენა კი არ არის პრობლემა, არამედ მისი შემდგომი ექსპლოატაციაც. რაც შეეხება მგზავრობის ფასის თვითნებურ გაზრდას, სასურველი იქნება, თუ მგზავრები ისარგებლებენ ავტოსადგურში სალაროს მომსახურებით და შეიძენენ ბილეთს, ეს კანონიერი გზაა და მისი შეზღუდვა არავის შეუძლია, - თქვა ბატონმა ნიკოლოზმა, რასაც მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, სავსებით ვეთანხმები.

- რადგან სს „ტრანსპორტელზე“ ვსაუბრობთ, აქვე ერთ პრობლემასაც მინდა შევეხო, ავტოსადგური ქალაქის ცენტრში დგას, სადაც ინტენსიური მოძრაობაა. სადგურის გარეფასადი და მიმდებარე 9 აპრილის სკვერის ვიზუალი, ასე თუ ისე, საგანგაშო არ არის, მაგრამ, ავტოსადგურის შიდაფასადი სავალალო მდგომარეობაშია, კედლები ჭერიდან ჩამომავალი წვიმის წყლით ძალიან დაზიანებული და შელახულია. სალაროს ოთახის ჭერიდან ცა მოჩანს, ისეთი ჩამოშლილია. ამასთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების დირექტორი კარდინალ ბაღაშვილი გვიხსნის, რომ „ტრანსპორტელს“ ძალიან მცირე შემოსავლები აქვს და თავისი სახსრებით შენობის შიდა ინტერიერის შეკეთება არ შეუძლია. ამიტომ, მან თხოვნით მიმართა რაიონის ხელმძღვანელობას და პარლამენტარ ირაკლი შიოლაშვილს, დახმარებოდნენ, რადგან თავად ხომ წუხდებიან ასეთ არაკომფორტულ გარემოში მუშაობით და სცხვენიათ, როცა ავტოსადგურს უცხოელი ტურისტები სტუმრობენ. ეს კი ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა.“

ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა **დედოფლისწყაროს მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა** დავით ფხოველიშვილმა: – კომისიამ განიხილა და უკვე ატვირტულია და გამოცხადებულია ტენდერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. პროექტი ითვალისწინებს ავტოსადგურის შიდა ფასადის კოსმეტიკურ რემონტს, გამაგრებით სამუშაოებს და გარე ფასადის შეღებვას. ეს ჩვენი ქალაქის ცენტრალური ადგილია, ხალხმრავლობაა, ბევრი ტურისტი და სტუმარი ხვდება აქ, ამიტომ, საჭიროა, სათანადოდ გამოიყურებოდეს, – თქვა მან.

იმედია, არ გაჭიანურდება რემონტი და ზაფხულის სეზონისთვის მისი რემონტი დასრულდება.

ნაირა გორაშვილი

როგორ ვხვდებით ზაფხულს წყალმომარაგების თვალსაზრისით?!

უკვე ორი თვეა, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრს ახალი უფროსი ჰყავს. ჩვენი საზოგადოებისთვის კი მისი სამომავლო გეგმები იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც წყლის საკითხია ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა. ბატონი ნოდარი ამბობს, რომ რეალობასთან თვალის გასწორება და რეალობასტან შეგუება მოგვიწევს.

„საუბარს და ტყუილ დაპირებებს მირჩევნია, საქმე ვაკეთო, ყველაფერი ისე იქნება, როგორი ხელშეწყობაც გვექნება გაერთიანებული წყალმომარაგების კონმპანიიდან. ხელშეწყობას გვპირდებიან და ვნახოთ"-ასე დაიწყო გაზეთ „შირაქთან" საუბარი ნოდარ ფიროსმანაშვილმა.

-კი, მაგრამ წინ ცხელი ზაფხული გველოდება და გვაქვს კითხვები, რომელზეც პასუხი ნამდვილად გვჭირდება. ჩვენს რაიონში, ყოველ ზაფხულს წყლის პრობლემა ნამდვილად ყველაზე დიდ დილემას წარმოადგენს...

-დედოფლისწყაროში წყალი ნამდვილად კრიზისულია, არამარტო დედოფლისწყაროში, არამედ მთელ კახეთში, თუმცა საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით, მაქვს ჩემი ხედვები, რომლის წინასწარ გამხელაც არ მსურს და ნურც დამავალდებულებთ. მოკლედ გეტყვით, მიმაჩნია, რომ წყლის მცირე მარაგიც კი არ უნდა დაიკარგოს და ყველანაირი რესურსი გამოყენებული უნდა იყოს გონივრულად. მხედველობაში მაქვს ნიკორციხის და სტადიონის წყლის რეზერვუარების რეაბილიტაცია. მიჭირს საუბარი, თუმცა, მერი ც და საკრებულოც ჩემთან ერთად გადიან ამ საკითხებს და უკვე დაწყებულია ზრუნვა, რომ წინა ზაფხულთან შედარებით გავაუმჯობესოთ წყალმომარაგების სერვისი. რამდენად გამოგვივა, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

-გასულ ზაფხულს, მოგეხსენებათ, გრაფიკი იყო, მაგრამ ის ხშირად ირღვეოდა, რაც მოსახლეობის გულისწყრომას იწვევდა...

-მე ვცდლობ, რომ აღარ იყოს ასე, გპირდებით, რომ ხალხის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. მათი გულისწყრომაც გასაგებია. პირადად მე, უკვე მეშინია ზაფხულის მოსვლის, ვიცი, რომ უკმაყოფილო ბევრი შეიძლება დარჩეს, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ, არავის სურს ასეთი მომსახურება, პირველ რიგში, ჩვენ. მაქსიმალურად ვდილობ, წყლის მარაგი მცირედი მაინც დავიტოვოთ და ბოლომდე არ დავცალოთ მარაგი, მაგრამ მე

მაქვს ასეთი ბრძანება, რომ წყალი ღამე ჩაიკეტოს, მაგრამ დილის ექვსზე უნდა გაიშვას, რათა შვიდის ნახევარზე მაინც მიეწოდოს მოსახლეობას ონკანებზე. ზოგადად კი, მინდოდა, რომ მოსახლეობისთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია, მოუფრთხილდნენ წყალს, ჩვენ ის ფუფუნება არ გვაქვს, რომ წყლის რესურსს უდიერად მივექცეთ, მინდა, ხალხმაც ისწავლოს წყლის მოფრთხილება. ეს ნამდვილად ბევრ პრობლემას მოაგვარებს. არ არის საჭირო წყალი მივუშვათ ნებაზე და არ ვიფიქროთ ჩვენს გვერდზე მცხოვრებ ადამიანებზე, რომლებიც იმ დროს შესაძლოა უწყლოდ იყვნენ.

-კი, გეთანხმებით, ჩვენ არ ვიცით ბუნებისგან ნაბოძები მადლის მოფრთხილება...

-ნამდვილად ასეა, მე ძალიან მივესალმები ამ მიდგომას და მომხრე ვარ, რომ დაინერგოს წყლის რწყვის წვეთოვანი სისტემა, აბონენტთა რიცხი გაიზარდა, მომხმარებელი ბევრია, სოფელი ხორნაბუჯი და სამრეკლო მომატებულია ქალაქზე და ჭირს უკვე გაწვდენა. ნამდვილად ძალიან ეკონომიურია წვეთოვანი რწყვა, წყლის რესურსსაც ზოგავს და ბევრად სასარგებლოცაა ასეთი რწყვის მეთოდი მოსავლისთვის. მოსახლეობაში რომ დაინერგოს რწყვის ასეთი სისტემა, ეს დიდ დანაზოგს გაგვიკეთებს, წყალსაც ნაკლებს დახარჯავენ და ნაკლები გადასახადიც დაფიქსირდება მრიცხველზე. ჩვენ არც ერთი წვეთი წყალი არ გვაქვს დასაკარგი, წყლის რესურსს თვალის ჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ.

-ელიის მთასთან ახლომდებარე ძირითადი რეზერვუარი ჩვენ გასულ ზაფხულს დათვალიერებული გვაქვს, იქ ვნახეთ მეორე რეზერვუარი, რომელიც მოქმედი რეზერვუარის, ანუ 600 კუბური მეტრის ტოლია დაახლოებით, თუმცა ის რეზერვუარი უმოქმედოდაა და ამორტიზებულია. როგორც ვიცით, კომუნისტების დროის შემდეგ არ ამუშავებულა. არადა იყო საუბარი, რომ იმ რეზერვუარის რეაბილიტაცია და მასში წყლის მარაგის დაგროვება, ნამდვილად მოაგვარებს და მოხსნის ნაწილობრივ მაინც წყლის კრიზისს ჩვენს რაიონში. გამომდინარე იქიდან, რომ პრობლემა მართლაც მწვავე იყო, შარშან ჩვენ მივმართეთ ჩვენი და დედოფლისწყაროს მოსახლეობის სახელით გაერთიანებული წყალმომარაგების დირექტორს, რომ იქნებ მოეხერხებინა კომპანიას ამ რეზერვუარის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითიც დიდ საჩუქარს გაუკეთებდა დედოფლისწყაროს მოსახლეობას. მათგან მივიღეთ პასუხი, რომ შეეცდებოდნენ, სამომავლოდ გაითვალისწინონ ჩვენი თხოვნა. ამჯერად თუ არის რაიმე ძვრა ამ მხრივ?

-ნამდვილად არსებობს ამაზე საუბარი და ჩემი მუშაობის გეგმაშიც შედის, ამით პრობლემა, შესაძლოა, ვერ მოგვარდეს, რადგან წყლის რესურსი არ არის რეალურად საკმარისი, მაგრამ ნაწილობრივ მაინც რომ მოიხსნება დღის წესრიგიდან წყალმომარაგების ისეთი სიმწვავე, როგორიც აქამდე გვქონდა, ეს ცალსახად ნათელია.

-რაც შეეხება წყლის სისუფთავეს, ამაზეც გეტყვით, რომ გასულ ზაფხულს, რედაქციის მუშაკები ვახორციელებდით გარემოსდაცვით პროექტს, რომელშიც წყლის სისუფთავის ხარისხის დაცვაც იყო გათვალისწინებული, ჩვენ შესაბამის ლაბორატორიებში წავიღეთ და შევამოწმეთ თითქმის ყველა სასმელი წყლის ხარისხი. პასუხები ჩვენდა გასაოცრად ასე გამოიყურებოდა:ე.წ. „მაზოვკის" წყალში 20 ჩხირი დაფიქსირდა ორჯერ გადამოწმებისას, რაც მის სასმელად არავარგისიანობაზე მიუთითებდა, გამარჯვების წყარო იყო სუფთა, ბურღის წყაროში იყო ნიტრატები, ნატრიტები და ბევრი გოგირდი, რაზეც ასევე მიგვითითეს, რომ არასასურველი გახლდათ სასმელად, ხოლო ჩვენი ონკანის წყალი იყო სასმელად ვარგისიანი და სუფთა. რამდენად დამაჯერებელია ამ ეტაპზე ჩვენი ონკანების წყლის სისუფთავის ხარისხი?

-წყალი ნამდვილად სუფთაა, გვაქვს ჩვენი ლაბორატორია და ყოველდღიურად, სხვადასხვა ადგილებიდან, ვიღებთ წყლის სინჯებს და ვამოწმებთ, ის შეესაბამება საჭირო ნორმებს. ყოველ შემთხვევაში, რაც მე ვარ უფროსი, ამ ორი თვის მანძილზე, არანაირი დაბინძურების შემთხვევა არ ყოფილა ნამდვილად. წყლის დაქლორვის სპეციალური დანადგარი არსებობს თვით წყლის მთავარ რეზერვუართან და ქალაქში ყოველდღიურად დაქლორილი წყალი მიეწოდება მოსახლეობას.

-თბილისს, ბორჯომსა და დიდ ქალაქებს უკვე აქვს თანამედროვე სტანდარტის ფილტრაციის დანადგარები და მოსახლეობას მიეწოდება მაღალი ხარისხის გაფილტრული წყალი, დედოფლისწყაროში კირქვიანი წყალი გვაქვს, რაც ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს, საინტერესოა, როდის ექნება ჩვენს რაიონს თანამედროვე აპარატურით უმაღლეს დონეზე გაფილტრული წყალი? არის კი ამაზე საუბარი გაერთიანებულ წყალმომარაგების ცენტრალურ ოფისში?

-ჩვენი სურვილიც ეგ გახლავთ. მიმდინარეობს სხვადასხვა რეგიონის თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანის პროცესი. იმედს ვიტოვებთ, რომ ასეთი პირობები უახლოეს წლებში ჩვენც გვექნება, თუმცა, მანამდე მაღალხარისხიანი წყლის ინტენსიურად მიწოდების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ლალი მეხრიშვილი

„კახეთში აეროპორტის აშენება თელავსა და წნორს შორის განიხილება"

„კახეთში აეროპორტის განვითარება თელავსა და წნორს შორის განიხილება", - ამის შესახებ "საქმის კურსში" კახეთის გუბერნატორმა, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა. მისივე განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს შესწავლა, რათა მოხდეს ლოკაციის დაზუსტება.

„კონკრეტულ ლოკაციაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მიმდინარეობს შესწავლა, თუ სად შეიძლება იყოს ოპტიმალური აეროპორტის განთავსება. რამოდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი, გარდა ტურისტული დისლოკაციისა, საანავიგაციო პირობები უნდა იყოს შესატყვისი, გარემო უნდა იძლეოდეს საერთაშორისო რეისების განხორციელების საშუალებას. ჩვენ განვიხილავთ ტერიტორიას თელავიდან წნორის ჩათვლით" - განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

როგორც გუბერნატორი განმარტავს, საუბარია იმაზე, რომ კერძო ინვესტორი იყოს ჩართული ამ პროექტში, რაზეც ინტერესი უკვე არსებობს კერძო სექტორიდან.

„ძალიან მზარდია კახეთში ტურისტების რაოდენობა, მოთხოვნა ჩარტერულ რეისებზე იზრდება. მოთხოვნა იმაზე, რომ რეისები იყოს კახეთსა და ბათუმს შორის, კახეთსა და ქუთაისს შორის, კახეთსა და მესტიას შორის, საკმაოდ დიდია. ეს მოთხოვნა პირველ რიგში მოდის იმ ბიზნეს ოპერატორებისაგან, რომლებიც ტურიზმის სფეროში მუშაობენ და იმ სასტუმროების მფლობელებისაგან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ კახეთში.

ჩვენი ხედვით, ეს უნდა იყოს აეროპორტი, რომელიც საერთაშორისო ფრენებს მოემსახურება. "ტავ ჯორჯია" არის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი 2027 წლამდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია რომ ჩარტერები შესრულდეს, ეს გრძელვადიანი პროექტია და 2027 წელიც ძალიან მალე მოვა და საშუალება მოგვეცემა, რომ უფრო ფართო, საერთაშორისო რეისებიც განხორციელდეს", - განაცხადა კახეთის გუბერნატორმა.

ერთი დღე №1 საბავშვო ბაღში...

27 მარტს ქალაქის N1 საბავშვო ბაღში მიგვიწვიეს. სამ სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარებულ აქტივობებს დავესწარით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. შეუძლებელია, მოხვდე ისეთ სივრცეში, რომელსაც ბავშვების გარემოცვა ჰქვია და ახალი ენერგიითა და ხალისით არ დაიტვირთო.

პირველად 2-3 წლიანთა ჯგუფს ვესტუმრეთ, სადაც პედაგოგი დალი მაძღარაშვილი თანაშემწე ელენა პოპიაშვილთან ინტეგრირებულ ღია მეცადინეობას მართავდა: „გაზაფხული

შემოვიდა ჩვენთან“. პედაგოგის სამიზნე გახლდათ წელიწადის დროებით გარემოს გაცნობა. მან მუსიკის ფონზე, საჩვენებელი მასალის გამოყენებით, ბავშვების ყურადღება მიიპყრო და გაზაფხულის შემობრძანება აუწყა პატარებს:ჩიტუნების ჭიკჭიკი, წყლის წვეთების ხმა, მერცხლების დათვლა, მწვანე, წითელი და ყვითელი მინდვრების აღწერილობით დალი მასწავლებელმა ერთბაშად ფერების აღქმის, მათემატიკური თვლის და სმენის გამახვილებით, რამოდენიმე აქტივობის ინტეგრაცია მოახდინა. არც მსხვილი და ნატიფი მოტორიკა დარჩენიათ ყურადღების მიღმა. „ჩამოშლილი“ წვიმის წვეთებით და წყალში ჩაყრილი ყვავილებით ემოციები და შთაბეჭდილებები გაუძლიერა ბავშვებს აღმზრდელმა, ფინალში ცისარტყელაც „გამოჩნდა“, რომლის ქვეშ გაძვრომით მალე „გაიზრდებიან“ ჩვენი პაწიები და ფინალში მერცხლებისა და ფუტკრების გვირგვინების დადგმით ბავშვების ემოციები კულმინაციას მიუახლოვდა და მათმა სიხარულმა პიკს მიაღწია, ეს ყველაფერი კი ერთ ღია მეცადინეობაზე შეძლო მასწავლებელმა. ვერც გავიგეთ, ისე გაირბინა 45 წუთმა, უკვე მეორე, 4-5 წლიანთა ჯგუფში გველოდებოდნენ. პედაგოგ თეა სიფრაშვილს თანაშემწე მარინა მარტაშვილთან ერთად „დედაშვილობის“ თემა ჰქონდა შერჩეული განსახილველად. ბევრი ისაუბრეს პატარებმა დედაშვილობის წმინდა და უანგარო გრძნობაზე, დედის შეუფასებელ როლზე ადამიანის და, მით უფრო, ბავშვის ცხოვრებაში, უპასუხეს თეა მასწავლებლის დასმულ კითხვებს, მხატვრულად წაიკითხეს ლექსი“ყველაზე ლამაზო“, იმღერეს „იავნანა“, „დედა-დედიკო“ და დედიკოებს კიდევ ერთხელ მიულოცეს დედის დღე და რვა მარტი. ამასობაში კიდევ ერთი სასიამოვნო 45 წუთი მიილია და მესამე, 5-6 წლიანთა ჯგუფშიც მოუთმენლად გველიან . აქ პედაგოგ თამარ იაკობიშვილს ნატიფი მოტორიკისა და ადამიანის სულის სითბოს შესახებ ერთდროულად უწევს საუბარი. მათ ჯერ დეკორატიული სილის, სარეცხის სამაგრების და საანგარიშო ჩხირების საშუალებით ნატიფი მოტორიკის განვითარებაზე იზრუნეს, შემდეგ მენდენსონის „ცომის კაცუნაზე“ ისაუბრეს და ბოლოს ადამიანის სხეულის შემადგენლობისთვის მათემატიკური თვალსაჩინოებებიც გამოიყენეს. წინ გველოდა ყველაზე ამაღელვებელი ნაწილი, როდესაც ბავშვებმა ერთმანეთს თავიანთი კარგი გუნება-განწყობა აჩუქეს და აღიარეს, რომ ძალიან უყვართ ერთმანეთი, ამის

დასტურად მათ სილაში მზე გამოსახეს, საანგარიშო ჩხირებით სამშობლო დახატეს, სარეცხის სამაგრებით რაკეტები და კოშკი ააგეს, ცდილობდნენ ყველაფერში მზე და მზის სხივი გამოეყენებინათ. ალბათ, ჩვენმა პატარებმაც იგრძნეს, რომ სამყაროს მზე და სითბო აკლია, ეს სითბო კი პირველ რიგში თითოეულმა ჩვენგანმა არ უნდა დავზოგოთ ერთმანეთისთვის, ყველა ადამიანური რესურსი უნდა გამოვიყენოთ, რათა ავივსოთ გულები სიყვარულით და ეს ემოცია გავცეთ უხვად ერთმანეთში.

ღია მეცადინეობებს ესწრებოდნენ N1 საბავშვო ბაღის დირექტორი ქეთევან დოლიძე, მესამე ბაღის დირექტორი მაია გონაშვილი და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები.

ელზა ხარაშვილი

ზღაპარ იყო...

22 მარტს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა შემოქმედ მოსწავლეთა კონკურსი „ზღაპარ იყო“. ეს ღონისძიება უკვე მეორე წელია იმართება მოსწავლეთა სახლში. იდეის ავტორი და ინიციატორი გახლავთ ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი თამარ აბულაძე. კონკურსში მონაწილეობდნენ ოზაანის, ზემო მაჩხაანის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამრეკლოს, საპატრიარქოს გორგასლის სახელობის და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათ წარმოადგინეს წიგნებად აკინძული შემოქმედებითი ნამუშევრები: ნახატებით გაფორმებული ზღაპრები, ლექსები თუ

მოთხრობები, ასაკისა და შესაძლებლობების მიხედვით. ბავშვებმა თავიანთ ნამუშევრებში საკუთარი ხედვა წარმოაჩინეს დღეისათვის ძალიან აქტუალური თემების მიმართ, როგორიცაა მეგობრობა, ცხოველთა დაცვა, სიყვარული და ა.შ. მოსწავლეთა ნამუშევრებმა მოწონება დაიმსახურა ჟიურისა და დარბაზის მხრიდან. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად არხილოსკალოს საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლის - დავით ხუზაურაშვილის მოთხრობას „მეგობრობის ამბავი“. ასევე საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ნინო მეხრიშვილის, რუსუდან ცქიტიშვილის, მარიამ პაპუაშვილის, ნიკა ნასრაშვილის, ელენე ნატროშვილის, მარიამ ჯეთერიშვილის, ვახტანგ ტოხიშვილის, სალომე ბენაშვილის, რებეკა თეთრაულის, ელენე კოხტაშვილისა და ნინო გურაშვილის ნამუშევრები. ისინი სიკეთეს, სიყვარულს და მეგობრობას ეძღვნებოდა. მართლაც, დროულია ასეთ თემებზე დღეს ყურადღების გამახვილება სხვადასხვა აქტივობების სახით.

მოგზაურობა წყლის სამყაროში

ქალაქ დედოფლისწყაროს N2 ბაგა-ბაღში (4-5 წლიანთა ჯგუფი, აღმზრდელი- მარინა ჯორკოშვილი, თანაშემწე- ელზა ბენაშვილი, ძიძა- მერი მოსეშვილი) ჩატარდა ღია აქტივობა თემაზე „წყლის სამყარო“.

ოთახი გაფორმებული იყო თემატური თვალსაჩინოებებით, წარმოდგენილი იყო უამრავი ნიჟარა, ზღვის კენჭები, ხელოვნური ზღვა, თევზები... აღმზრდელმა თავდაპირველად შეკითხვები დაუსვა ბავშვებს, აჩვენა გლობუსი და მათგან მიიღო პასუხი, რომ დედამიწის უდიდესი ნაწილი წყლითაა დაფარული,შემდეგ კი თავის აღსაზრდელებს აუხსნა, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებობს ხუთი ოკეანე, ზღვები და წყალქვეშ უამრავი თევზი და ცოცხალი არსება ბინადრობს. მოასმენინა ზღვის ხმის აუდიო ვერსია, შემდეგ კი ნიჟარის ყურზე მიდებით ბავშვებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ორივეგან მოსმენილი ხმები იდენტურია...

ბავშვებმა დათვალეს ნიჟარები, დახატეს სილაზე და ფარდების საშუალებით შექმნეს ზღვის ტალღების იმიტაცია. აღმზრდელმა მათ ეკრანზე აჩვენა წყლის სამყარო, დელფინარიუმი და აღნიშნა, რომ დელფინები ძალიან გონიერი არსებები არიან. აქტივობის დასასრულს ბავშვებმა აკვარელის, ფერადი ფურცლებისა და წებოს გამოყენებით თავიანთი ხელით შექმნეს წყალქვეშა სამყარო.

აქტივობას ესწრებოდნენ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის სპეციალისტები, N2 ბაგა-ბაღის დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილი და აღმზრდელები.

1960 WLIS APRILI

● DRITIDRE IZRDEBA TBILISIS TELECENTRIS MAYUREBELTA ODENOBA. MIMDINARE WLIS DASAWYISIDAN 4 ATASZE METMA MSROMELMA SEIZINA TELEVIZORI. GADACEMEBS UKVE IREBEN TBILISIS SEMOGARENIDAN 200 KM RADIUSIT. FARTOD VITARDEBA RETRANSLIACIURI SADGUREBIS MSENEBLOBA, RATA MAYUREBELTA RICXVS SEMOEMATON SOREULI RAIONEBIC. ASETI SADGUREBI UKVE ASENEBULIA GURJAANSI, AXALCIXESI, LENINGORSA DA AXALQALAQSI. AMJAMAD SIRNARSI DA TELAVIS MAXLOBLAD CIV MTAZE MIMDINAREOBS ORI MZLAVRI RETRANSLIATORIS AGEBA. ANZA UNDA DAIDGAS WITELWYAROSIC.

● DIDI LENINIS SAXELIS UKVDAVSAYOFAD ZEMO QEDELMA PIONEREBMA GADAWYVITES SKOLIS EZOSI LENINIS SAXELOBIS VARDNARI GAESENEBNAT. MALE AM VARDNARSI PIRVELAD GADAISLEBIAN GAZAFXULIS YVAVILEBI, ROMLEBIC MIDAMOS DAAMSVENEBEN. GARDA AMISA CVENI PIONEREBI GULMODGINED SWAVLOBEN LENINIS CXOVREBA-MOQVAWEOBAS. AGROVEBEN LITONIS JARTS, -EM ZADEBIAN 22 APRILIS SAZEIMO-SAIUBILEO SEKREBISTVIS.

● PARTIULI KREBIS DRIS WESRIGSI DASMULI SAKITXEBIS GANXILVA UNDA MIMDINAREOBDES COCXLAD, SEMOQMEDEBITAD, XALISIANAD. AR IQNEBA SWORI, AIKRZALOS YOVELGVARI REPLIKA. ARIS ISETI REPLIKEBI, ROMLEBIC AMXNEVEBEN MOMXSENEBELS, MOKAMATEEBS, XELS UWYOBS NAKLOVANEBATA GAMOVLINEBAS DA SAQMIANELFERS AZLEVS KREBAS. ARIS SEMTXVEVEBI, ROCA MOKAMATEEBI ZOGADAD LAPARAKOBEN DA KONKRETUL FAQTEBSA TU PIREBS AR ASAXELEBEN. TU ROMELIME PIRI DAAKONKRETEBS PIRIS VINAOBAS, AN FAQTS, ES SASARGEBLOA. AMITOM XELI AR UNDA SEVUSALOT ORATORS. KREBAZE ASETI REPLIKEBI MIMARTULIA TVITKRITIKIS GASLISAKEN DA ARA NAKLOVANEBIS CAXSOBISTVIS.

● SOFELI ZEMO QEDI, ARXILOSKALO DA QVEMO QEDI WITELWYAROS SINAMDVILESI ZALIAN DIDI SOFLEBI GAXDA. YOVELWLIURAD IZRDEBIAN. QUCEBI SWOREA DA LAMAZI. DAMSVENEBULIA ORSARTULIANI SAXLEBIT, MAGRAM SAMWUXAROD AM SOFLEBIS QUCEBS JERJEROBIT AR AQVS SAXELWODEBANI DA NUMERACIA, RAC AUCILEBEL PIROBAS WARMOADGENS TANAMEDROVE SOCIALISTURI KETILMOWYOBILI SOFLISTVIS. SAWIROA, DEPUTATEBIS SABWOEBMA ZEMDGOM ORGANOSI DASVAN SAKITXI AMIS SESAXEB.

● `SAAVADMYOFOS GAXSNA WIANURDEBA~ AM SATAURIT REDAQCIASI SEMOVIDA KORESPONDENCIA, ROMELSIC CVENI SOFLKORI I. GULIASVILI ITYOBINEBA, ROM QVEMO QEDSI GASULI WLIS ADRE SEMODGOMAZEVE MZAD IYO SENOBA SADAC UNDA GAXSNILIYO SAAVADMYOFO-AFTIAQI, MAGRAM GAXSNAS AWANUREBS RAIONIS MTAVARI EQIMI. REDAQCIAM GANMARTEBISTVIS MIMARTA MTAVAR EQIMS, AMXANAG S. GONAS VILS. IS GVATYOBINEBS, ROM `ZEMDGOMI ORGANOEBIS DADGENILEBIS TANAXMAD, AXALI SAAVADMYOFOEBI AR SEIZLEBA GAIXSNAS 25 SAWOLIANZE NAKLEBI, UNDA MOXDES MATI GAMSXVILEBA. AMITOM, QVEMO QEDELTA MOTXOVNAS 10 SAWOLIANI SAAVADMYOFOS GAXSNIS SESAXEB, VER VAKMAYOFILEBT.~

1975 WLIS APRILI

● ZEMO QEDIS KOLMEURNEOBIS MEQANIZATORI SOTA MILASVILI DILICIS VENAXSI TXRIS DROS MIADGA SAFLAVS, SADAC ARMOCENILIA MZIVEBI, ZVELI SAOJAXO NIVTEBI, QOTNEBI DA SUREBI. NIVTEBI MAN MXARETMCODNEOBIS MUZEUMS GADASCA. IS GAMOIFINEBA MUZEUMSI, ROMLIS GAXSNAC GATVALISWINEBULIA MIMDINARE WLIS SEMODGOMAZE. AMXANAG MILASVILIS ES SAQCIELI UTUOD MISABAZI DA SAMAGALITOA.

● ZEMO MACXAANELMA MEFRINVELEEBMA SITYVA GATEXES. MIMDINARE WLIS OR TVESI TITOEUL KVERCXMDEBELZE MIREBULIA 12 CALI KVERCXI, ANU 8 CALIT NAKLEBI, VIDRE GASULI WLIS SESABAMIS PERIODSI. ASETI TEMPIT ROM GAGRZELDES KVERCXMDEBELOBA, WLIURI VALDEBULEBA SANAXEVRODAC VER SESRULDEBA. GASULI WELTAN SEDAREBIT WLEVANDEL OR TVESI JAMSI 146 000 CALIT NAKLEBI KVERCXIA MIREBULI. FERMAS WELS PIRVEL KVARTALSI SAXELMWIFOSTVIS UNDA MIEYIDA 766 ATASI KVERCXI, MAGRAM OR TVESI 22 ATASI MIHYIDA. FERMAS DAZABULI MUSAOBA DASWIRDEBA, ROM AREBULI VALDEBULEBA SEASRULON.



● TRAGEDIA SABATLOSI - SOFLIS MKVIDRI 23 WLIS DAVIT AVAQIANI ZOMAZE METAD GAMOIBRUJA, GAMORACRACDA SOFLIS CENTRSI DA GAMOMTVRALS SARIS ATEXVA EWADA. AVBEDITAD ARASRULWLOVANI LENTUS CARQANDIANI DALANDA DA TITIT MOIXMO. LENTUSAM SEXEDA XULIGNIS GAMOMETYVELEBAS, GULMA RECXI UYO DA GAIQCA, TUMCA IS LANZRVA-GINEBIT MISDEVDA. SAXLSI SEVARDA, KARI GADAKETA DA SAWOLIS QVES SEIYUJA. KAREBI SEAMTVRIA, VEEBA FINURI DANA DAAZRO DA MSXVERPLIS ZEBNA DAIWYO. RAKI VERIPOVA, JAVRI AVEJZE IYARA DA YVELAFERI DALEWA. OTAXSI MTVREVIT NERVEBI ROM DAIAMA, GAALMASEBULI BEBUTIS TRIALITISEV SOFLIS CENTRSI GAVARDA DA YVELAS LANZRVA-GINEBA DAUWYO. GZAD MIMAVAL SETO CARQARDIANS DANIT GAMOEKIDA, MAS ROM VER DAEWIA MIS ZMAS GAMOENTO SETOS MEURLE NAXSUMI SEMTXVEVIS -AD GILZE GACNDA, RATA QMARS GAMOSARCLEBODA. TAVAWYVETILMA XULIGANMA QALI RODI DAINDO - NAXSUMS GULMKERDIS ARESI DANA RAMDENJERME CAARTYA, WAAQCIA DA WIXLIT SCEMDA. SABATLOELTA SAMARCXVINOD UNDA ITQVAS, ROM ES YVELAFERI MAT TVALWIN XDEBODA DA ARAVIS EYO GAMBEDAOBA, QALS GAMOQOMAGEBODA, RATA XULIGANI GAEKOWAT. SRULWLOVANI SVILI SUMBATI USISRAD EKVETA KACISMKVLELS DA DEDA IXSNA SIKVDILISGAN. GAQVAVEBULI ADAMIANEBI, ROMLEBIC LACRULI UMOQMEDOBIT SEIRS UYUREBDNEN, AXLARA MOEGNEN GONS, SUMBATS MIEXMARNEN DA XULIGANI GAKOWES. IMAVE DRES AIYVANES PATIMROBASI DA SABWOTA SASAMARTLOM 9 WLIANI SASJELI ARGUNA. ES DANASAULI MOXDA IMITOM, ROM SEMOWMEBEBMA ACVENA, SABATLOSI ZALZE DABAL DONEZEA DAYENEBULI XALXIS MORALUR-POLITIKURI ARZRDA. WLEBIS MANZILZE AQ CODNIS MARALKVALIFICIUR LEQTOREBS AR WAUKITXAVT ARCERTI LEQCIA-MOXSENEBA. TEMATUR SARAMOEBZE DA KITXVA-PASUXZE XOI ZEDMETIA LAPARAKI.

● MOVASOROT SOFLEBS MUQTAXOREBI ARCERTI UQNARA CVENS RIGEBSI! YVELA CAVABAT SROMASI. ARVKVETOT YOVELGVARI DANASAULEBANI DA ENERGIULAD VEBRZOLOT DISCIPLINIS GANMTKICEBAS. MOWINAVE, BEVR PATIOSAN KOLMEURNESTAN ERTAD SOFLEBSI JER KIDEV MOIPOVEBIAN MUQTAXORA PARAZITEBI, ROMLEBIC TVIRTAD AWVEBIAN KOLMEUREOBAS.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში „ლურჯი ვეშაპის“ შესახებ შეხვედრა გაიმართა

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ინტერნეტ თამაშის “ლურჯი ვეშაპის” შესახებ შეხვედრა გაიმართა. კიკეთის ტაძრის წინამძღოლმა მამა ანდრია ჯაღმაიძემ ჟურნალისტებთან ინტერნეტ თამაშებთან დაკავშირებულ პრობლემაზე ისაუბრა და მშობლების როლზე გაამახვილა ყურადღება.

“ჩვენთვის აქამდე არსებობდა წარმოდგენა, თითქოს საქართველოში ეს პრობლემა ნაკლებად დგას, თუმცა, ირკვევა, რომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი არის დაკავებული ამ პრობლემატიკის შესწავლით. როგორც კვლევამ აჩვენა, საკმაოდ საყურადღებო პრობლემაა. ისევ იმ პრობლემასთან მივდივართ, რაზეც ძალიან ხშირად გვისაუბრია, რომ ოჯახში ძალიან ხშირად ჩვენი შვილების საქმიანობა ყურადღების მიღმა გვრჩება. მოდის ახალი დრო, ამ ახალ დროს მოსდევს თავისი სიახლეები. ამ სიახლეებს ხშირად მშობლები ჩამორჩებიან, ვერ იაზრებენ რა საშიშროება შეიძლება სდევდეს თან ინტერნეტ თამაშებს. ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა სპეციალისტების აზრის მოსმენა, მნიშვნელოვანი იქნებოდა ფსიქოლოგებისგან გარკვეული დარიგებების მოსმენა. ჩვენ აქ იმისთვის ვიკრიბებით, რომ ყველა ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალისტისა თუ უწყებისგან მოვისმინოთ, როგორ ხედავენ ამ პრობლემის გადაჭრის გზებს”, - განაცხადა მამა ანდრიამ.

დღის მოვლენები

- 1889 : ეიფელის კოშკის ინაუგურაცია პარიზში.
- 1931 : მიწისძვრა ანადგურებს მანაგუას, ნიკარაგუა.
- 1949 : ნიუფაუნდლენდი გახდა კანადის კონფედერაციის წევრი.
- 1964 : დიქტატურა ბრაზილიაში იწყება, გენერალი კასტელო ბრანკოს მეთაურობით.
- 1967 : ჯიმი ჰენდრიქსი წვავს საკუთარ გიტარას პირველად ლონდონის ასტორიის თეატრში. რის შედეგადაც ის ხელზე მეორე ხარისხის დამწვრობისთვის ჰოსპიტალიზებულ იქნა.
- 1979 : ბრიტანეთის ბოლო ჯარისკაცი ტოვებს მალტის კუნძულებს.
- 1991 : საქართველოში გაიმართა საყოველთაო რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. გამოკითხულთა 98%-მა დადებითად უპასუხა.
- 1999 : ბორის ელცინი გადადგა რუსეთის პრეზიდენტის პოსტიდან.
- 2004 : გუგლი აქვეყნებს Gmail-ს – პირველ ვებ-ფოსტას 1 გიგაბაიტიანი სათავსით.
- 1990 : ჰუმანიტარული კავშირი კათარზისი გაიხსნა
- 2017 : პარაგვაიში დემონსტრანტებმა კონგრესის შენობა ჩაიგდეს ხელში.

სპორტი

თბილისში გაიმართა ევრაზიის პირველობა კუნგ-ფუ ფაიტინგში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სპორტსმენები ირანიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, დაღესტნიდან, უზბეკეთიდან და საქართველოდან. ამ შეჯიბრზე დედოფლისწყაროს კლუბ “ლეგიონიდან” გადახალასებული გუნდი 8 სპორტსმენის შემადგენლობით გამოვიდა და არცთუ ცუდი შედეგი აჩვენა: მათ 2 პირველი, 3 მეორე და 3 მესამე ადგილი მოიპოვეს. გუნდს წვრთნის მიხეილ სეხნიაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლია მაისურაძეს ბიძაშვილის

ხათუნა გვასალიას

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო შუბითიძეს მამის

ელდარ შუბითიძის

გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გულო ალუღიშვილს დისშვილის

თამარ მათეშვილის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები: ვალიკო, ლილი და მიმოზა გოგილაშვილები ოჯახებით იუწყებიან

დარეჯან გონაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მანანა, ილია, დიმა და მაია გონაშვილებს.

ყ ურ ა დ ღ ე ბ ა !

საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ დედოფლისწყაროს განყოფილება

ა ც ხ ა დ ე ბ ს

2018 წლის 10 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით აპლიკანტთა საგაზაფხულო მიღებას 2017 — 2018 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. პრაქტიკოსი ექთანი
2. თექის ოსტატი
3. ელექტროობა
4. თმის სტილისტი

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

1. სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
2. 2 ცალი ფოტო სურათი /ზომით 3X4/
3. პირადობის მოწმობის ასლი
4. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
5. განცხადება /ადგილზე შევსებით /

საბუთების მიღება დაიწყო!

იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:

ქ.დედოფლისწყარო,სოფ.სამრეკლო (სოფ. ჯაფარიძე)

ტელ: 577 557 159; 577 962 967

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძეს!

მამა ნიკოლოზ, 2 აპრილი თქვენი დაბადების დღეა, 49 წლის გახდებით. აქედან 19 წელი ჩვენს რაიონში, ჩვენთან ერთად გაატარეთ. ეს არც ცოტაა, მაგრამ არც ბევრია, თქვენს მიერ გაკეთებულ საქმეებს თუ გადავხედავთ. თქვენი ჩვენს რაიონში მოსვლით დაიწყო სულიერი აღმასვლა, რაც მრევლის გამრავლებასთან ერთად ეკლესია-მონასტრების შენებითა და რესტავრაციით გამოიხატება. თქვენი მოსვლისას ერთადერთი სულიერი ნავთსაყუდელი სამლოცველო სახლი და ქალაქის ცენტრში მშენებლობაშეჩერებული ეკლესია იყო. თქვენი შრომის შედეგია, დღეს, თითქმის, ყველა სოფელს მოქმედი ეკლესია და საკუთარი მღვდელმსახური რომ ჰყავს, რომლებიც თქვენს გვერდზე და თქვენი ხელდასმით გაიზარდნენ, რომ სტიქარი აცვიათ არა მხოლოდ ზრდასრულ ადამიანებს, არამედ ბავშვებსაც. აღდგა და მოთხოვნილებად იქცა კვირა დღეს წირვაზე სიარული, მარხვის მადლი, აღსარება და ზიარება, დიდი ქრისტიანული დღესასწაულების ზეიმად გადაქცევაც თქვენი დამსახურებაა. თითქმის ორი ათეული წელია, ერთად მოვდივართ ჩვენი სულიერი აღმავლობის გზაზე და ჩვენ ბედნიერები ვართ თქვენთან ერთად გატარებული თითოეული წუთით. იცოცხლეთ დიდხანს, იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. უფალმა გაგაძლიეროთ ჩვენი სულების საოხად.

სიყვარულით და პატივისცემით, თქვენი მრევლი.

მანანა ცხვედიაშვილს!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარეს,აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატს, უნივერსიტეტის ასპირანტ კურსდამთავრებულს, ჩვენს თანამემამულესა და საყვარელ პოეტს ქალბატონ **მანანა ცხვედიაშვილს** ვულოცავთ კიდევ ერთ დიდ აღიარებას და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ **ილია ჭავჭავაძის** პრემიის მინიჭებას.

ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს, ბედნიერებას და სიხარულს მის დიდ ოჯახთან ერთად.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სახელით:
ნუნუ ცაკაშვილი, ნანული ნატროშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა, ირმა და გენადი შიოლაშვილები, ნანა ჭიჭინაძე, მარიკა პოპიაშვილი.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 02.04		სამშაბათი 03.04		ოთხშაბათი 04.04		ხუთშაბათი 05.04		პარასკევი 06.04		შაბათი 07.04		კვირა 08.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
9°	8°	11°	8°	7°	5°	6°	5°	8°	7°	9°	8°	11°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.